

ლოკალური სტრუქტურების ასახვა Δg გრავიტაციულ ველში

გიორგი ნოზაძე

gio.nozadze830@ens.tsu.ge

გეოლოგიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი,
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
უნივერსიტეტის ქ. 13, თბილისი, საქართველო, 0186

ნაშრომის მიზანს წარმოადგენს გეოლოგიური სტრუქტურების ძიება გრავიმეტრიული მეთოდით. რადგან სტრუქტურები, რომლებსაც ხშირად თან სდევს ნავთობისა და აირის საბადოები და რომლებიც შედარებით ადვილად დაიძიება ძიების გრავიმეტრიული მეთოდებით, არის ანტიკლინური ნაოჭები. ეს სტრუქტურები წარმოადგენს ქანების თაღოვან აზევებას ფრთების ზოგჯერ ციცაბო, ხშირად კი ძალზე დამრეცი ვარდნით. ასეთი ნაოჭის შიდა ფენები აგებულია უფრო ძველი ქანებით, გარეთა კი – უფრო ახალგაზრდათი. საკვლევი ტერიტორია მდებარეობს გარე კახეთის (სამხრეთ კახეთის) ფარგლებში და მოქცეულია კახეთის ქედსა და იორის ხეობას შუა. ნაშრომში მოცემულია გარე კახეთის ზოგადი გეოლოგიური და გეოფიზიკური შესწავლილობა, ფიზიკურ-გეოგრაფიული დახასიათება, გეოლოგიური და გეოფიზიკური შესწავლილობა, სტრატეგრაფია, ტექტონიკა, დახასიათებულია გარე-კახეთის ტერიტორიაზე გამოყოფილი 48 ანტიკლინი. აღწერილია გრავიმეტრიული კვლევის მეთოდიკა, გრავიმეტრიული ხელსაწყო, კერძოდ – კვარცის ასტაზირებული გრავიმეტრი. გრავიმეტრიული აგეგმვის ძირითადი სახეები და მეთოდიკა. ძირითადი ამოცანები, რომლებიც გრავიძიების საშუალებით წყდება. მოტანილია მაგალითები, თუ როგორ აისახება ლოკალური სტრუქტურები Δg გრავიტაციულ ველში. გრავიტაციული ანომალია არც თუ ყოველთვის არის დადასტურებული მისი გამომწვევი გეოლოგიური სტრუქტურით, ან ნაწილობრივ დადასტურებული. მაშინ შეგვიძლია გამოვიტანოთ დასკვნა, რომ ეს გეოლოგიური სტრუქტურა არ არის ბოლომდე დაძიებული და გამოყოფილი. ანუ, გრავიმეტრიული ძიება საშუალებას გვაძლევს მოვახდინოთ ამ სტრუქტურის სრული კარტირება და გამოვსახოთ გეოლოგიური სტრუქტურების განაწილების სრული და დეტალური სურათი. ნაშრომი წარმოდგენილია 32 გვერდზე. ლიტერატურის სია – 29, 7 სურათი.